



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 231

2016 წლის 28 ნოემბერი

ქ. თბილისი

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ 2016 წლის კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის განსაზღვრისა და დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

„ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N 84 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-2<sup>1</sup> და მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/წ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „2016 წლის ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2016 წლის 22 აპრილის N 78 ბრძანებით დამტკიცებული ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის პირობების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე და სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ნინო გაჩეჩილაძის სამსახურებრივი ბარათის (N1421986, 28.11.2016) საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების“ 2016 წლის კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის განსაზღვრისა და დაფინანსების წესი ბრძანების დანართის შესაბამისად
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში: ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნების შემდეგ
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

მარინე ჩიტაშვილი

**ფუნდამენტური კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2016 წლის  
კონკურსზე რეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის განსაზღვრისა და  
დაფინანსების წესი**

**§ 1. პროექტების საბოლოო ქულის განსაზღვრის წესი**

თითოეული პროექტისათვის დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული წარმოადგენს პროექტის **საბოლოო ქულას**.

**§ 2. ბიუჯეტის განაწილება სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით:**

1. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისთვის დაიანგარიშება 40 ან მეტი საბოლოო ქულის მქონე პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც ეწოდება მიმართულების ქვედა ზღვარი, ხოლო პროექტებს, რომელთა საბოლოო ქულაც მეტია ან ტოლი შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების ქვედა ზღვარზე, ეწოდება **საუკეთესო პროექტები**.
2.  $N_1$  -ით აღინიშნება პირველ სამეცნიერო მიმართულებაში არსებული **საუკეთესო პროექტების** ქულათა ჯამი.  $N_2$  -ით- მეორე სამეცნიერო მიმართულებაში არსებული **საუკეთესო პროექტების** ქულათა ჯამი და ა.შ,  $N_7$ - ით- მეშვიდე მიმართულებაში არსებული **საუკეთესო პროექტების** ქულათა ჯამი.

$$N = N_1 + N_2 + \dots + N_7$$

3. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$K_1 = \frac{N_1}{N}, K_2 = \frac{N_2}{N}, \dots, K_7 = \frac{N_7}{N}$$

4. თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის ბიუჯეტი განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$B_1 = K_1 \cdot B, B_2 = K_2 \cdot B, \dots, B_7 = K_7 \cdot B,$$

სადაც  $B$  არის კონკურსისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი, ხოლო  $B_1, B_2, \dots, B_7$  არის შესაბამისად პირველი, მეორე, ... , მეშვიდე სამეცნიერო მიმართულებების ბიუჯეტები.

**§ 3. პროექტების დაფინანსების წესი.**